# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #19 /18

13 დეკემბრი 2018 წელი

ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის 2 საჯარო სკოლა ,," (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,, კორეტი ს/კ - --445454749 (შემდგომში - მიმწოდებელი) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #59 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

CPV 30100000 საოფისე მანქანა დანადგარი, საკანცელარიო მასალა, კომპიუტერისა და პრინტერისა და ავეჯის გარდა ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 60 -( სამოცი ლარი).

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი ლევან სურმანიძე ან მისი წარმომადგენელი მზია კველიძე

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. საქონლის მიწოდების ვადა.

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2018 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაეკისრებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 13 დეკემბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| თხილნარის 2 საჯარო სკოლა | ,, შპს კორვეტ |
| მის: ხელვაჩაური | მის: --ბათუმი აბაშიძის გამზირი 63 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 248386713 | საიდენტიფიკაციო კოდი: -445454749 |
| ბანკი სს ლიბერთი ბანკი ხელვაჩაურის | ბანკი: - საქართველოს ბანკი |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი: ბ/კ --- BAGAGE22 |
| ა/ა GE85LB0121112149894000 | ა/ა: -- GE41BG0000000700449100 |
| ტელ: 577 30 42 58 | TEL: 597 80 00 05 597 42 31 13 |
| ლევანი სურმანიძე | ბადრი აბაშიძე |
| დირექტორი | |